

საქართველოს სოც.



საბჭ. რესაუბლიკის

34(05)

L-29.

მუშათა და გლობოს მთავრობის

# პანიკისა და განკარგულებათა პრეზენტი

სახალხო კომისართა საგარეო და ეკონომიკური საგარეო

სამართლებრივი გამოცემა

1934 წ. აპრილი 5.

№ 19

ც ფ ი ლ ი ს ი

ვ ი ნ ი ს ი ს ი

სახელმწიფო მმართველობა.

157. საბჭოთა კომიტეტის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

158. „სოფლის აღმასრულებელთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

159. იმ სამოგადოებათა და კავშირთა დებულების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ, რომელიც მოგებას არ მისდევს.

სამსახური საქმე.

160. სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცებას შესახებ.

დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის შესახებ.

მ რ ე წ ვ ე ლ ი ბ ა.

161. საქართველოს სსრ მსუბუქი მრჩეველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

ვაჭრობა. მომართება.

162. სამიმმარებლო კომპერაციის სისტემასა და მის დეპიტორებსა და კრედიტორებს შორის არსებული სადაცა ანგარიშების სასწრაფო ღი-

კეიდაციისათვის საჭირო ღონისძიებათა შესახებ.

კომუნალური და ხაზინა მშენებლობა.

163. საქართველოს სსრ კომუნალური მეცნიერებლის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

164. არასამიზრეცველ მშენებლობის პროექტების განვითარებისა და მამტკიცების წესის შესახებ.

165. „სამრეზანის სტაციონური აღგილას გადაცვანისა, მიღებისა და გაგანვითარების ფართობის უზრუნველყობის შენარჩუნების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

ვ ი ნ ი ს ი ს ი

166. „პრდაგოგიკური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამტკიცების შესახებ.

ჯანმრთელობის დაცვა.

167. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის თაობაზე გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

168. მაჟარიასთან ბრძოლის თვიურის ჩატარების შესახებ.

ხისხლის სამართალი.

169. სისტემის სამართლის კოდექსის 39 ჩუქურის შეცვლისა და ამ მუხლის დანართის გაუქმების შესახებ.

1548

170. სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>17</sup>-ა და 58<sup>18</sup> მუხლებისა და სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

171. სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლის მეორე ნაწილის შეცვლის შესახებ.

სახამართლო წყდობილება და სამართლის წარმოება.

172. საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს კომიტეტისის გაფართოების შესახებ.

173. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის შეცვლის შესახებ.

174. ისეთი ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რაზედაც გადახდევინების მიქეცევა სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება.

ნუსხა ისეთი ქონებისა, რაზედაც გადახდევინების მიქეცევა სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება.

175. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

## სახელმწიფო მინისტრობა

### 157. დაზგენილება ც.ა.კ. და ს.პ.ს.

საბჭოთა კონტროლის სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ.

„სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან საბჭოთა კონტროლის კომისიის მოწყობის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. თებერვლის 11-ის დადგენილების მე-2 მუხლთან დაკავშირებით (სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-9 №-ი, მუხ. 58), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

1) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 12-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქაშთველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ (სრ. საქ. ცენტ. აღმ. კომ-ისა და საქ. სსრ სახ. კ-თა საბჭოს „მოამბე“, 1925 წ. 1—2 №-ი; საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 1; 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 23);

2) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წ. იანვრის 27-ის დადგენილება „საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული საშტატო კომისიის გაუქმებისა და ასეთივე კომისიის საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან დაარსების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 6);

3) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 5-ის დადგენილება „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ოპერატორ მუშაობის მისამართის დამტკიცების შესახებ“.

შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-ი, მუხ. 170);

4) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 5-ის დადგენილება „უწყებათა და დაწყებულებათა საკონტროლო-სარევიზოთ და საგამოკვლევო მუშაობის საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინ-სპექციის სახალხო კომისარიატთან და მის ორგანოებთან (აფხაზეთის სსრ-სა, აჭარისტანის ავტ. სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის აეტონომიურ ოლგში) დაკავშირების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-15 №-ი, მუხ. 147);

5) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. დეკემბრის 15-ის დადგენილებით დამტკიცებული დებულება ქალაქის საბჭოების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციების შესახებ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4);

6) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. მარტის 13-ის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და აფხაზეთის სსრ ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის აეტონომიური ოლგის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან აღსრულების შემოწმების კომისიების მოწყობის შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-8 №-ი, მუხ. 73);

7) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ივნისის 14-ის დადგენილება „რესპუბლიკანურ სახელმწიფო დაწყებულებებში, სამუჟრინე და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მთავრობის დირექტივების აღსრულების შემოწმების შესახებ" (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-13 №-ი, მუხ. 150);

II. შეტანილ იქნეს ცვლილებანი შემდეგ ორგანიზულ საკანონმდებლო აქტებში:

II). საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დებულებაში:

ა) 1-ლი მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 110) მიღებულ იქნეს შემდევი რედაქციით:

„III. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეადგენენ:

ა) თავმჯდომარე,

ბ) თავმჯდომარის მოადგილენ,

გ) მსუბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, მომარაგებისა, კომუნალური მეურნეობისა, ფინანსთა, განათლებისა, ჯანმრთელობისა, სოციალური უზრუნველყოფისა და იუსტიციის სახალხო კომისარინი;

დ) სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, სახელმწიფო პოლიტიკური სამშართველოს და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარენი

ბ) მე-4 მუხლის „ა“ პუნქტში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 145) ამოიშალოს სიტყვები: „საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს“.

2) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების საერთო დებულებაზე....  
ა) 1-ლ მუხლში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146) და

1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 111) ამოიშალოს მე-6 და 7 პუნქტები;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების ნუსხა მე-3,6 და 9 მუხ-  
ლებში (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-19 №-ი, მუხ. 146) და 1933 წ. მე-9 №-ი,  
მუხ. 111) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატები: მსჯბუქი მრეწველობისა,  
მიწათმოქმედებისა, მოსარაგებისა და ფინანსთა....“

„6. საქართველოს სსრ მსჯბუქი მრეწველობისა, მიწათმოქმედებისა, მომა-  
რაგებისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატების განკარგულება....“

„9. საქართველოს სსრ მომარაგებისა და ფინანსთა სახალხო კომისა-  
რიატები....“

გ) 24 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. მე-9 №-ი, მუხ. 111) მიღებულ  
იქნეს შემდეგი რედაქციით:

„24. საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატების შინაგანი სტრუქტურა,  
რამდენადაც იგი გათვალისწინებული არ არის მათი შესახები დებულებებით,  
მყარდება საქართველოს სსრ სახალხო კომისარობა საბჭოს დაფენილებით.

დებულებებს სახალხო კომისარიატების სასტრუქტურო დანაწილებათა  
შესახებ ამტკიცებენ სათანადო სახალხო კომისარები.

პ) მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დებულტატების საქალაქო საბჭო-  
ების დებულებაში:

ამოშლილ იქნეს 43 მუხლის „კ“ პუნქტი, 44 მუხლის „ზ“ პუნქტი, 45<sup>2</sup>  
მუხლში სიტყვები „მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებისა“ (საქ. სსრ  
კან. კრ. 1933 წ. მე-2 №-ი, მუხ. 27), 52 მუხლის 1 ნაწილის „გ“ პუნქტი და  
52 მუხლის შენიშვნა (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 4).

4) საბჭოთა სარაიონო ყრილობებისა და სარაიონო აღმასრულებელი კო-  
მიტეტების დებულებაში:

ამოშლილ იქნეს: 46 მუხლის „ი“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ.  
1-ლი №-ი, მუხ. 1-ლი) და 46 მუხლის მე-3 შენიშვნაში სიტყვები „მუშათა და  
გლეხთა ინსპექციის ორგანოებისა და აგრეთვე“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ.  
მე-8 №-ი, მუხ. 63).

პ) სასოფლო საბჭოების დებულებაში:

62 მუხლის „ი“ პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-9 №-ი, მუხ. 66)  
ამოიშალოს.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 14.

ტფილი.

## 158. დადგენილება ც.პ.კ. და ს.ძ.ს.

„სოფლის აღმასრულებელთა თაობაზე“ გამოცემული დადგენილების  
მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენენ:

მე 3 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კო-  
მიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის პრი-  
ლის 26-ის დადგენილებისა „სოფლის აღმასრულებელთა შესახებ“ (საქ. სსრ  
კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მუხ. 126) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. სოფლის აღმასრულებელთ დანიშნავს სასოფლო საბჭო ყოფელ სო-  
ფელში, მორიგეობით, უწყებულ ადგილას მუდმივ მცხოვრებ მოქალაქეთაგან,  
რომელიც მე-4 მუხლში აღნიშნულ პირობებს შეეფარდებიან, ვაღით არა უმე-  
ტეს სამი თვისა და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი  
რიცხვით.“

(მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 შენიშვნები დატოვებულ იქნეს ძალაში).

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. უდენტი.

1934 წ. ივნისის 14.

ტფილისი.

## 159. დადგენილება ც.პ.კ. და ს.ძ.ს.

იმ საზოგადოებათა და კავშირთა დებულების მე-3 მუხლის შეცვლის შესა-  
ხებ, რომელიც მოგებას არ მისდევენ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენენ:

მე-3 მუხლი დებულებისა იმ საზოგადოებათა და კავშირთა შესახებ, რო-  
მელიც მოგებას არ მისდევენ (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. 24 №-ი, მუხ. 339),  
მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„3. იმ საზოგადოებას და კავშირს, რომელიც მოგებას არ მისდევს, შეუძ-  
ლია აწარმოოს საწარმოო და სავაჭრო საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში,  
უკეთუ ეს საქმიანობა გამომდინარეობს მისი ძირითადი ამოცანებილან და მიზ-  
ნად არ ისახავს მარტოოდენ სახსრის შეძენას.

აღნიშვნულ საზოგადოებას და კავშირს შეუძლია გამართოს ლატანიშვილის ლოდ სპეციალური კანონით დადგენილი წესის დაცვით (სსრკ კან. კრ. 1930 წ. მე-2 №-ი, მუხ. 20 და 1932 წ. 66 №-ი, მუხ. 396)“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ საქ ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 14.

ტყილისი.

## სამხედრო საქმე

### 160. დადგენილება ც.ა.კ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღეცეს:

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1933 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის შესახებ.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრ საქ ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 16.

ტყილისი.

დ გ ბ უ ლ ვ ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან არსებული, სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისიის შესახებ.

1. სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომისია არსებობს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან.

2. კომისიას ეკისრება შემდეგი ამოცანები:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამოქალაქო ომისა და წითელი არმიის უკვე არსებულ და ახლად შექმნილ ისტორიულ ძეგლთა აღდგენისა და შენახვის საქმეს;

ბ) სამაგალითოდ მოაწყოს ძმათა საფლავები, ცალკეული გმირების საფლავები და სამოქალაქო ომის ისტორიული ბრძოლის აღგილები;

გ) მოაწყოს და გადაკეთოს სამხედრო-ისტორიული პანორამები სამოქალაქო ომის პერიოდში წითელმოქმედული განვინვარებული ბრძოლის აღგილებზე;

დ) მოაწყოს, პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების სრულიად საქართველოს საზოგადოებისა და პროფესიონალური კავშირების მეშვეობით, სატურიზმო მუშაობა და ექსკურსიები სამოქალაქო ომის საგმირო ბრძოლების ისტორიულ აღგილებში;

ე) განიხილოს სამოქალაქო ომის გმირებისადმი მიძღვნილი კრებულებისა, ალბომებისა და ფოტო-დოკუმენტების გამოცემის საკითხები;

ვ) ხელმძღვანელობა გაუწიოს სამოქალაქო ომის მუზეუმებისა, გამოფენებისა და კუთხების შექმნის საქმეს;

ზ) დადგას ფაბრიკებსა, ქარხნებსა, სამანქანო-სატრანსპორტო სადგურებსა და საბჭოთა კოლექტიურ მუზრნეობებში ძეგლები და მემორიალური ნიშნები (დაფები) სამოქალაქო ომის გმირების ხსოვნისათვის და წითელი არმიის საპატიოდ.

3. კომისიის წევრებად არიან: თავმჯდომარე, მისი მოადგილე და ქართული ნაციონალური დიიზიის პოლიტიკური განყოფილებისა, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კოისარიიატისა, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიიატისა, საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტისა, ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელპარტიისათვის საზოგადოების საბჭოსი, ძეველი ბოლშევიკების სრულიად საქართველოს განყოფილებისა, „საქთავდაცვა-ივიაქიმისა“, პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების სრულიად საქართველოს საზოგადოებისა, სარევოლუციო მუზეუმისა და ცენტრალური წარმომადგენელნი, აგრეთვე აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის წარმომადგენელნი, ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების დანიშნით.

4. კომისიის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი. კომისიის წევრებს ამტკიცებს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი სათანადო ორგანიზაციების წარდგენით.

5. კომისიას აქეს ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო ლერბის გამოხატულებით.



## გ რ ე ტ ვ ე ლ ო ბ ა

### 161. დაღგენილება ც.ა.კ. და ს.პ.ს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მმართველობის რეორგანიზაციის შესახებ.

მსუბუქი მრეწველობის მმართველობის სისტემაში რგოლულების შემცირების მიზნით და იმ მიზნით, რათა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ახლო იდგეს საწარმოთა უშუალო ხელმძღვანელობაზე და აცილებულ იქნეს მმართველობის ფუნქციონალური ფორმები, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 №-ი, მუხ. 103) ადგენენ:

#### I.

1. ლიკვიდირებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში შემავალი ტრესტები:

- ა) საფეიქრო-სატრიკოტაურ მრეწველობის ტრესტი;
- ბ) აბრეშუმის მრეწველობის ტრესტი;
- გ) ჭრა-კერვის მრეწველობის ტრესტი;
- დ) პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტი.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნულ ტრესტებში შემიყალი ყველა საწარმო გაღაყვანილ იქნეს დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე, სათანადო საწესდებო კაპიტალის გამოყოფით და იურიდიული პირის უფლებათა მიეუთვენებით.

მიეცეს აღნიშნულ საწარმოთ დამოუკიდებელი უფლება მატერიალური მომარავებისა და თავისი პროდუქციის გასაღების სფეროში.

3. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

- ა) საფეიქრო-სატრიკოტაურ მრეწველობის სამმართველო;
- ბ) აბრეშუმის მრეწველობის სამმართველო;
- გ) ჭრა-კერვის სამმართველო;
- დ) ტუა-ფეხსაცმლის მრეწველობის - სამმართველო;
- ე) პოლიგრაფიული და კულტმრეწველობის სამმართველო;
- ვ) ჯუმლობითი დაგეგმვის ჯგუფი;
- ზ) მთავარი ინჟინერის ბიურო;
- თ) საფინანსო ნაწილი ბუნებრივი ინფრასტრუქტური;
- ი) საქმეთა მმართველობა;

ქ) საუწყებო არბიტრაჟი;

ლ) სპეციალური სექტორი.

4. დაეკისროს ამა დაგენილების შე 3 მუხლში აღნიშნულ სადარგო სამართველოებს შემდეგი ფუნქციები:

ა) დაგეგმონ და აღრიცხონ მსუბუქი მრეწველობის სათანადო დარგები და აგრეთვე მოაწესრიგონ მათი ფინანსები;

ბ) გაუწიონ სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის სათანადო საწარმოთ;

გ) მოაწესრიგონ მსუბუქი მრეწველობის სათანადო დარგების საწარმოთა მატერიალური მომარაგებისა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემის სათანადო საწარმოთა პროდუქციის გასაღების საკითხები;

დ) დაგეგმონ და მოაწესრიგონ მსუბუქი მრეწველობის სათანადო დარგების კაპიტალური მშენებლობა;

ე) გაუწიონ ხელმძღვანელობა მსუბუქი მრეწველობის სათანადო დარგებისათვის კადრების მომზადების საქმეს.

სადარგო სამმართველოებს დაეკისროს აგრეთვე, კუთვნილებისამებრ, ადგილობრივი სამრეწველო სათანადო დარგების საერთო დაგეგმვა და მოწესრიგება, აგრეთვე სარეწაო და საინვალიდო კოოპერაციის გეგმების დაკავშირება მრეწველობის სათანადო სადარგო გეგმებთან და აღნიშნული კოოპერაციული სისტემების საწარმოთა მიერ ნედლეულის ცენტრალიზებული ფონდების წესიერად გამოყენებისათვის კონტროლის გაწევა.

**შენიშვნა.** პოლიგრაფიული და კულტურული მრეწველობის სამართველო პოლიგრაფიული მრეწველობის ხაზით ანხორციელებს იმ ფუნქციებს, რაც „გათვალისწინებულია „საქართველოს სსრ პოლიგრაფიული მრეწველობის სამმართველოს რეორგანიზაციის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 7-ის დადგენილების მე-4 მუხლით (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე 14 №-ი, მუხ. 130)“.

ნ. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია და მოეწყოს სახალხო კომისართან საბჭო, რომელიც მოიწვევა პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ; საბჭოს შედგენილობაში უნდა შედიოდენ, არა ნაკლებ, ვიდრე მთელი შედგენილობის ნახევარი, საწარმოთა და მრეწველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელნი.

## II.

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს:

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა

163. დადგენილება ც.პ.კ. და ს.ძ.ხ.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის აპარატის საორგანიზაციო ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და მისი მუშაობის გარდაქმნისათვის თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური ოღმისრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მარტის 15-ის დადგენილებისა „საბჭოთა და სამეურნეო მშენებლობის სფეროში საჭირო საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-15 № ი, მუხ. 103), სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმისრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის აპარატში შემდეგი ფუნქციონალური სექტორები: ა) საგეგმო, ბ) აღრიცხვისა და გ) კადრებისა.

2. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შემდეგი სტრუქტურა:

- ა) სახალხო კომისარი;
- ბ) სახალხო კომისარის მოადგილე;
- გ) კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის სამშართველო;
- დ) საბინაო მეურნეობისა და მშენებლობის სამშართველო;
- ე) სახანძრო დაცვის სამშართველო;
- ვ) სამშენებლო კონტროლის სამშართველო;
- ზ) ჯუმლობითი დაგეგმვისა და აღრიცხვის ჯგუფი;
- თ) საქმეთა შპართველობა;
- ი) სპეციალური სექტორი.

3. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შემდეგი სამი ტრესტი:

- ა) „საქართველომშენი“;
- ბ) „საქართველოექტრო“;
- გ) „საქართველომშენმომარაგება“.

4. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის კოლეგია და მოეწყოს სახალხო კომისარიატთან საბჭო, რომლის შედგენილობაშიაც შევლენ არა ნაკლებ, ვიდრე ამ შედგენილობის ნახევარი, კომუნალური მეურნეობის სარაიონო განყოფილებათა წარმომადგენელნი; საბჭო მოიწვევა პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრუ-

ლებელ კომიტეტებს — გარდაქმნან ანალოგიურ საფუძველზე ამ რესპუბლიკურ და ოლქის კომუნალური მეურნეობის ცენტრალური ორგანოები.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს — დამტკიცოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის შტატები.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. ფახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უჯვრი.

1934 წ. ივნისის 16.

ტფილისი.

### 164. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

არასამრეწველო მშენებლობის პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. იმ არასამრეწველო მშენებლობის პროექტებს, რასაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ანხორციელებენ უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, ამტკიცებენ ეს უკანასკნელი იმის შემდეგ, რაც ამ პროექტებს წინასწარ განიხილავს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი.

იმ არასამრეწველო მშენებლობის პროექტებს, რასაც ანხორციელებენ განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები, ამტკიცებენ ეს უკანასკნელი უმისიონ, რომ ეს პროექტები წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატში.

საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მიერ განსახორციელებელი არასამრეწველო მშენებლობის პროექტები მტკიცდება საერთო-საქავშირო კანონმდებლობით დადგნილი წესისამგრა.

2. კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის დებულების ლიტ. „გ“-ის მე-9 მუხლის კარისა „არასამრეწველო (საბინაო-სამოქალაქო) მშენებლობის რეგულირების სფეროში“ (საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ 234) დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„განათლების და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ განსახორციელებელ არასამრეწველო მშენებლობის პროექტებს არ ესაჭიროება კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის მიერ წინასწარი განხილვა“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. ფახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. უჯვრი.

1934 წ. ივნისის 30.

ტფილისი.

## 165. დადგინდება ც.პ.კ. და ს.ქ.ს.

„სამუშაოზე სწვა აღგილას გადაყვანისა, მიღებისა და გაფავანის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმისრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-2 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმისრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. ივლისის 22-ის დადგენილებისა „სამუშაოზე სწვა აღგილას გადაყვანისა, მიღებისა და გაფავანის დროს მომუშავეთათვის საცხოვრებელი ფართობის უფლების შენარჩუნების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ მე-20 №-ი, მუხ. 168; 1933 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 20) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. საცხოვრებელი ფართობი წინანდელ საცხოვრებელ აღილას შეენარჩუნება:

ა) იმ მომუშავეს, რომელიც, „სსრ კავშირის შორეულ აღილებში და დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე მომუშავე პირთა შეღავათების დებულების“ მე-3 მუხლის თანახმად (სსრკ კან. კრ. 1930 წ. 41 №-ი, მუხ. 427), მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, და იმ მომუშავეს, რომელიც მიკუთვნებულია მეორე ჯგუფისათვის და რომელსაც, იმისთანავე, აქვს შეღავათები, აგრეთვე ორივე ჯგუფის მომუშავის ოჯახს, რომელიც მომუშავის ახალ საცხოვრებელ აღილას გადადის:

როდესაც იგი იგზავნება I ზოლის შორეულ აღილას—სამი წლის განმავლობაში;

როდესაც იგი იგზავნება II ზოლის შორეულ აღილას—ორი წლის განმავლობაში;

ბ) იმ მომუშავეს, რომელიც, იმავე დებულების („ა“ მუხ.) თანახმად მიკუთვნებულია პირველი ჯგუფისათვის, და აგრეთვე მის ოჯახს, რომელიც მომუშავის ახალ საცხოვრებელ აღილას გადადის,—როდესაც იგი იგზავნება სამუშაოდ დიდ ქალაქ-ადგილების გარეშე—ორი წლის განმავლობაში;

გ) იმ მომუშავეს, რომელიც იგზავნება საზღვარგარეთ დიპლომატიური საქმიანობისათვის, და იმ სპეციალისტს, რომელიც გაწვეულია სამუშაოდ სსრ კავშირის საგარეო ვაქტორის სახალხო კომისარიატის ორგანოებში და სსრ კავშირის სხევა საეკრო მრგანიზაციაში საზღვარგარეთ, აგრეთვე ამ პირთა ოჯახებს, რომელიც მომუშავის ახალ საცხოვრებელ აღილას გადადიან,—მილად მიეღინდების დროის განმავლობაში ან მთლად იმ ხნის განმავლობაში რა ხნითაც ამ პირთან შრომის ხელშექრულება დადგვა სსრ კავშირის დაწესებულებამ თუ ორგანიზაციამ საზღვარგარეთ;

დ) საინჟენერო-სატექნიკო შედგენილობის მომუშავეს (ათის თავის ჩათვლით) და საადმინისტრაციო-სამეურნეო პერსონალის მომუშავეს, რომელიც

გაწვეულია სამუშაოდ სადამკვრელო მშენებლობაზე, რაც ასეთ მშენებლობული ცნობილია შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად, აგრეთვე იმ პირის ოჯახს, რომელიც მომუშავის ახალ საცხოვრებელ აღგილას გადადის,—მთლად იმ ხნის განმავლობაში, რასაც მომუშავე დაპყოფს ამ მშენებლობაზე;

ე) იმ მომუშავეს, რომელიც გაწვეულია ცალკეულ ობიექტებზე სამუშაოდ, —საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ფარგლებში;

ვ) განათლების დარგის იმ მომუშავეს, რომელიც იგზავნება სოფლად განათლების მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით არა ნაკლებ, ვიდრე ერთი წლის ვადით—იმ ხნის განმავლობაში, რა ხნითაც იგი გაგზავნილია სოფლად, ხოლო არა უმეტეს ორი წლისა გადასვლის დღიდან“.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. იქნის 14.

ტფილისი.

## გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

### 166. დადგენილება ს.კ.ს.

„პედაგოგური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე“ გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. მაისის 22-ის დადგენილებას „პედაგოგური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 16 მუხ. 151) დაემატოს მე-13 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„13 სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი პედაგოგური კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა 1934 და 1935 წლებისათვის დამტკიცებულ იქნება“.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1934 წ. იქნის 25.

ტფილისი.

## ჯანმრთელობის დაცვა

საქართველო  
განვითარების  
მინისტრი

### 167. დადგენილება ც.პ.კ. და ს.პ.ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის  
თაობაზე გამოცემული დადგენილების მე-8 მუხლის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

მე-8 მუხლი სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კო-  
მიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. აპრი-  
ლის 14-ის დადგენილებისა „საქართველოს“ სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომი-  
სარიატის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-12 №-ი,  
მუხ. 124) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. დაწესებულ იქნეს რესპუბლიკანური სააფთიაქო სამმართველოს შე-  
ძლევი სტრუქტურა:

- ა) სააფთიაქო ქსელის ჯვაფი (აფთიაქიბი და მაღაზიები);
- ბ) მომარაგებისა და სამრეწველო საწარმოთა ჯვაფი;
- გ) საგეგმო-ეკონომიკური ბიურო;
- დ) მთავარი ბუნბეჭირია;
- ე) საქმეთა მმართველობა“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. შგალობლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 1.

ტფილისი.

### 168. დადგენილება ს.პ.ს.

მაღარიასთან ბრძოლის თვიურის ჩატარების შესახებ.

მაღარიასთან ბრძოლის საქმეში საბჭოთა საზოგადოებრიბიბის ტართო  
ჟასების ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ჩატარებულ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ა/წ. ივნისის 1-დან  
გვისტოს 1-მდე მაღარიასთან ბრძოლის თვიური. თვიურის ჩატარება დაეკის-  
ჩოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ  
ამაღარიო კომიტეტს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სამეურნეო ორგანიზაციებს „საქართვე-  
ლოს ჩაის“, „სამტრესტის“, „ლიმმანტრეტის“, „მელორეობის ტრესტის“, „ქოლხიდ-  
შენს“, „საქართველოს რამს“ და სხვ.—ჩატარონ მაღარიას საწინაღმდევო კუ-  
ანია მათ ქვემდებარე საბჭოთა მეურნეობებსა, საწარმოებსა და საშენებლებში

და შეამოწმონ, მალარიის საწინააღმდეგო ლონისძიებათა განხორციელებას გათვალისწინებულია, მთავრობის დადგენილებებით და ჯანმრთელობის ორგანიზაცია დადებული ხელშექრულებებით.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს — ჩაატაროს მალარიის საწინააღმდეგო კამპანია კოლექტიური მეურნეობების ხაზით.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს — მისცემ დირექტორები სარაიონო ორგანიზაციებს თავიანთი ხაზით, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მალარიის საწინააღმდეგო მუშაობის მოწყობაში, კერძოდ, რაგორიც არის: კოლოების საწინააღმდეგო ბრძოლის სამუშაოთა მოწყობა, მონაწილეობა სამალარიო კომისიებში, სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარება, მოსწავლეთა შორის — მუშაობაში პედაგოგების ჩაბმით, და სხვა მისთ.

5. წინადადება მიეცეს სარაიონო სამალარიო კომიტეტების თავმჯდომარებს და ჯანმრთელობის აღვილობრივი განყოფალებების გამგებს — ჩაატარონ რაიონებში მალარიასთან ბრძოლის თვიური საქართველოს ცენტრალური სამალარიო კომიტეტის მიერ მიწოდებული საერთო გეგმის საფუძველზე, კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებით თვითეული ობიექტისათვის.

6. საქართველოს ცენტრალურმა სამალარიო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა უნდა გააძლიერონ სასანიტარო-საგანმანათლებლო მუშაობა მალარიასთან ბრძოლის სფეროში, მოამზადონ და გამოიუშვან თვიურისათვის საქართველოს „სახელგამის“ მეშვეობით ლოზუნები და პლაკატები და მოაწყონ რადიოლექციების გადაცემა.

7. დაევალოს გაზეთ „კომუნისტის“ და „თიქლასკის რაბочის“-ს რედაქციებს და აგრეთვე სარაიონი გაზეთების რედაქციებს — სისტემატურად გააშუქონ თვიურის პერიოდში მალარიასთან ბრძოლის ღონისძიებათა საკითხები.

8. დაევალოს საქართველოს „სანქიონმრეწვეს“ — მოაწყოს თვიურის პერიოდში კინო-სურათის „მალარიის“ და აგრეთვე სათანადო კინო-ქრონიკის (ლოზუნები, პლაკატები და სხვა მისთ) დემონსტრაცია იმ რაიონებში, სადაც მალარია უფრო გავრცელებულია.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლივილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1934 წ. ივნისის 29.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 158 №-ში 1934 წ. ივნისის 10.

## სისხლის სამართლი

169. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის შეცვლისა და ამ მუხლის დანართის გაუქმების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენერი:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლი (1933 წლის გამოცემა) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„39. ქონების კონფისკაცია ორის სახელმწიფოს სასარგებლოდ იძულებით და უსასყიდლოდ ჩამორთმევა მსჯავრდადებულის საკუთარი ქონების ან საერთო ქონებაში მისი ხედირი წილისა—მთლიად ან იმ ნაწილისა, რაც სასამართლოს მიერ ზედმიშვენით იქნება განსაზღვრული.

ქონების კონფისკაცია სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილს მხოლოდ ისეთი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც სოციალური დაცვის ეს ლონისძიება ამა კოდექსის კერძო ნაწილის მუხლებითაა გათვალისწინებული, აგრეთვე სსრ კავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებშიაც.

კონფისკაციით ორ შეიძლება ისეთი ქონების ჩამორთმევა, რომელზედაც შეუძლებელია გადასახადებისა და ორასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენთა იძულებითი გადახდევინების მიქცევა (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 69 №-ი, მუხ. 410-ბ, —მუხლები მე-19 და 20 და ამ მუხლების განსავითარებლად საქართველოს სსრ კანონმდებლობის წესით გამოცემული ნუსხა—საქ. კან. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 292) და განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღვრებლად გადახდევინების მიქცევა (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის დანართი—საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 174); ამისთანავე, სჯავრი დადებულის პროფესიონალური მოსაქმეობისათვის საჭირო ინვენტარის კონფისკაცია შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთ სასამართლო დაადგენს ჩამორთმეს მსჯავრდადებულს სათანადო პროფესიის მოსაქმეობის უფლება. ეს უკანასკნელი გამონაკლისი ორა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც კონფისკაციით ჩამორთმეულ უნდა იქნეს კულაპისა და იმ პირის ქონება რომელიც საშემოსავლო გადასახდით იბეგრება მე-3 №-ის განრიგის თანახმად.

ქონების კონფისკაციის დროს სახელმწიფო პასუხს არ აგებს იმ ვილისა და ვალდებულებისათვის, რაც ქონებას აწესს, უკეთ ეს ვალი და ვალდებულება წარმოიშვა მას შემდეგ, რაც საგომომძიებლო ან სასამართლო ორგანომ მიიღო ლონისძიება ამ ქონების დასაცავად, და თანაც ამ ორგანოს ნებადაურთველად.

რაც შეეხება იმ პრეტენზიებს, რომლებიც დაემაყოფილებულ უნდა იქნეს კონფისკებული ქონებიდან, სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ აქტივის ფარ-

გლებში, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309—312 მუხლებში განსაზღვრული რიგობით“.

• 2. სისხლის სამართლის კოდექსის 39 მუხლის დანართი—ნუსხა იმ საგნებისა, რაც კონფისკაციით არ ჩამოერთმევა (1933 წ. გამოცემა),—გაუქმებული იქნება.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიუმიშვილი.

სრ. საქ. ც.ა.კ.-ის მღივანი თ. ულენტი.

1934 წ. ოქტომბერი 14.

ტფილისი.

## 170. დადგენილება ც.ა.კ. და ს.ძ ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>17</sup>-ა და 58<sup>19</sup> მუხლებისა და სამსედრო დანაშაულთა დებულების (სისხლის სამართლის კოდექსის დანართი) 1-ლი მუხლის შეცვლის შესახებ.

„სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლისა, სამხედრო ტრიბუნალების და სამხედრო პროკურატურის დებულების მე-8 მუხლისა. და სახელმწიფო ფონებივ (კონტრრევოლუციონურ და მმართველობის წესის საშინაო აღმდეგო, სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიშ) დანაშაულთა დებულების მე-17<sup>1</sup> და მე-19 მუხლების შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბერვლის 27-ის დადგენილების 1-ლი და მე-III კარის შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1934 წ. მე-12 №-ი, მუხ. 78), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგინებ:

1. სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>17</sup>-ა და 58<sup>19</sup> მუხლები (1933 წ. გამოცემა) მიღებულ იქნება შეტყობინებით:

„58<sup>17</sup>-ა. სასროლო იარაღისა, მისი ნაწილებისა და სასროლო მასალის ფარულად ან სააშეარაოდ გატაცება:

ა) მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა, განსაკუთრებული სახელმწიფო ტრიუვიტონი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვისა, მუშათა და გლეხთა მილიციისა, წყალშეშა სამუშაოების ექსპედიციისა („ეპრონ“), შრომა-გასწორების დაწესებულებათა და აგრეთვე ზურგის ლაშქრისა და რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულ პირთაგან შედგენილი შრომითი ნაწილების საწყობებიდან და საცავებიდან;

ბ) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ნაწილებისა, ვამხედროებული დაცვისა და ვამხედროებული სახანძრო დაცვისა, მუშათა და გლეხთა მილიციისა, წყალქვეშ სამუშაოების ექსპედიციისა („ეპრონ“), ზურგის ლაშქრისა და შრომითი ნაწილების მუდმივი ან დროებითი დაბანკებისა დაგილებიდან და შრომა-გასწორების დაწესებულებებიდან, უკეთ სასროლო იარაღი, მისი ნაწილები და სასროლო მასალა დაცული ან განსაკუთრებული მეოვალურეობის ქვეშ იყო, ვამოიწვევს

თავისუფლების აღვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა, ხოლო უკეთ გამტაცებულებმა იხმარეს იმ პირთა სიცოცხლის და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა, რომელთაც დავალებული იქვე სათანადო დაცვა და მეთვალყურეობა,—თავისუფლების აღვეთას არა ნაკლებ საში წლისა, განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებაში სოციალური დაცვის ლონისძიების აწევით თვით უმაღლეს ლონისძიებამდე—დახერხეტამდე, ქონების კონფისკაციით“.

„58<sup>19</sup>. ზურგის ლაშქრში ჩარიცხული პირისა და რელიგიური რწმენის ვამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებული პირის მიერ ომიანობის დროს ზურგის ლაშქრის ნაწილში და შრომითს ნაწილში გაწვევისაგან თავის არიდება გამოიწვევს

თავისუფლების აღვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა“.

2. სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლი — სისხლის სამართლის კოდექსის (1933 წ. ვამოცემა) დანართი—მიღებულ იქნეს შემდგარედაქციით:

„1. სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება სამხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო შსახური და სათადარიგოდ ჩარიცხული სამხედრო ვალდებული პირი—ერთისა და შეორისაც მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში ყოფნის დროს.

სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე სამსახურის შესრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ჩაიდენს განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და სააღმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატორ-სამწყობრო და სააღმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატორი და სააღმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირი, წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციის („ეპრონ“) მომუშავე და აგრეთვი ზურგის ლაშქრის ნაწილებისა და რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულთაგან შედგენალი შრომითი ნაწილების თავმდგომთა და მერიგეთა შედგენილობის პირი.

**შენიშვნა.** იმ პირთა თანამინაშილეობა სამხედრო დანაშაულის შემდეგ გამოიყენებოდებოდა დანაშაული დანიშნული არ არის, გამოიწვევს ამა დებულების სათანადო მუხლებში გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლივილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ოქტომბერი 16.

ტფილის.

### 171. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლის მეორე ნაწილის  
შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 103 მუხლის მეორე ნა-  
წილი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„იგივე ნოქმედება, უკეთუ მას აღნიშნული შედეგი არ მოჰყოლია,—  
იძულებით მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმის ხუთის მანეთამდე, რაც  
დადგებულ უნდა იქნეს სააღმინისტრაციო წესით“.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლივილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ოქტომბერი 14.

ტფილის.

### სასაგარეო წყობილება და სამართლის წარმოება

### 172. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს კომიტეტის  
გაფართოების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და  
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

1. მიენიჭოს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს შემდეგი უფ-  
ლებანი:

ა) მიეცეს აფხაზეთის აეტ. სსრ-ის უმაღლეს სასამართლოს და იქარისტა-  
ნის აუტ. სსრ-ის უზენაეს სასამართლოს დირექტივები სასამართლო პრაქტიკის-

საკითხების შესახებ და აგრეთვე რეპუბლიკური დირექტივებისა და ქანონზე  
ბის განმარტებანი;

ბ) გამოიყელის აფხაზეთის აკად. სსრ-ისა და აჭარისტანის აკად. სსრ-ის  
სასამართლო ორგანოები—მათი სასამართლო მუშაობის შემოწმების მიზნით;

გ) გადასინჯოს ზედამხედველობის წესით აფხაზეთის აკად. სსრ-ის უმაღ-  
ლესი სასამართლოს და აჭარისტანის აკად. სსრ-ის უზენაესი სასამართლოს პლე-  
ნუმების დადგენილებანი.

**შენიშვნა.** უკეთუ აფხაზეთის აკად. სსრ-ის უმაღლესი სასამართლოს  
ან აჭარისტანის აკად. სსრ-ის უზენაესი სასამართლოს დადგენილება გან-  
საჩიტრებულია ზედამხედველობის წესით საქართველოს სსრ-ის უზენაეს  
სასამართლოში — სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
პრეზიდიუმის მიერ ამ დადგენილების დამტკიცების შემდეგ, საქართვე-  
ლოს სსრ უზენაეს სასამართლოს აქვს მხოლოდ უფლება განაპროტესტოს  
აღნიშნული დადგენილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმში.

უზენაესი სასამართლოს მიერ აღნიშნული დადგენილების განპრო-  
ტრესტება გამოიწვევს ამ დადგენილების იღსრულების შეჩერებას.

2. უფლება მიეცეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდო-  
მარეს დაუყოვნებელ შემთხვევაში შეაჩეროს აფხაზეთის ავტ. სსრ-ის უმაღლესი  
სასამართლოს და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის უზენაესი სასამართლოს პლენუმე-  
ბის იმ დადგენილების აღსრულება, რომელიც შეტანილია გადასინჯვეისათვის  
საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს პლენუმში, და აგრეთვე განახორ-  
ციელოს ამა დადგენილების 1-ლი მუხლის „გ“ პუნქტის შენიშვნით გათვალის-  
წინაბული ღონისძიება, რაც უნდა აცნობოს საქართველოს სსრ უზენაესი სასა-  
მართლოს პირველ მორიგ პლენუმში.

ს. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლივშილი.

ს. საქ. ც.ა.კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. ივნისის 16.

ტფილისი.

### 173. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის  
შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სა-  
ქართველოს სსრ სახალხო კომისართ საბჭო ადგენენ:

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი  
ცვლილება:

1. კოდექსის 318 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-19 №-ი, მუხ. 205) მიღებულ იქნეს შეძლევი რედაქციით:

„318. გადახდევინება მოხდება მოვალის ქონების შეკვრით, აღწერით, და-შეფრით და გაყიდვით.

ისეთი ქონების ნუსხას, რომელზედაც არ შეიძლება მიიქცეს გადახდევი-ნება აღსრულების ფურცლით და ამ ფურცელთან გათანაბრებული დოკუმენტით, აწესებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო“.

(318 მუხლის შენიშვნები დარჩეს ძალაში).

2. 318 მუხლის ახლანელი დანართი—დებულება ისეთი ქონების შესახებ, რომელზედაც გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება, ზემოაღნიშნული ნუსხის ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალიბლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი თ. ულენტი.

1934 წ. იქნის 14.

აფილისი.

#### 174. დადგენილება ს. ტ. ს.

ისეთი ქონების ნუსხის დომიტკიცების შესახებ, რაზედაც გადახდევინების მი-ქცევა სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 313 მუხლის თანაბარი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. მე-19 №-ი, მუხ. 173), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო ნუსხა ისეთი ქონებისა, რაზედაც გადა-ხდევინების მიქცევა სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება, და ეს ნუსხა შეტანილ იქნეს სამო-ქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში მე-III დანართად (318 მუხლისა).

#### 6 უ ს ხ ა

ისეთი ქონებისა, რაზედაც გადახდევინების მიქცევა სასამართლო ორგანოების სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება.

1. გადახდევინება სასამართლო ორგანოს სააღსრულებო ფურცლით და მისი თანაბარი დოკუმენტით არ შეიძლება მიიქცეს ისეთ ქონებაზე, რომელზე-დაც გადასახადისა და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის იძულებით გა-

დახდევინების მიქცევა ორ შეიძლება (სსრკ კან. კრ. 1933 წ. 69 №-ი, მუხ. 2410 მუხლის მე-19 და 20 მუხლები და ამ მუხლების განსავითარებლად საქართველოს სსრ კანონმდებლობის წესით გამოცემული ნუსხა (საქ. სსრ კ. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 292), შემდევ მუხლებში აღნიშნული გამონაკლისით.

2. კულტურულ მეურნეობაზე და საშემოსავლო გადასახადით მე-3 №-ის განრიგისამებრ დასაბეგრი პირის მეურნეობაზე გადახდევინების მიქცევის დროს— მე-3 მუხლი სხვადასხვა სახის ქონების ნუსხისა, რომელზედაც გადასახადის და არასაგადასახადო გადასახდელის ნარჩენის გადახდევინების მიქცევა ორ შეიძლება (საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 23 №-ი, მუხ. 292), შეეფარდება მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოს, კოლექტიური მეურნეობისა, კომპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სასარგებლობ მიმართულ გადახდევინების, აგრეთვე სამუშაო ხელფასის და ილიმენტების გადახდევინებას და მშრომელის პიროვნებისა თუ ქონებისათვის მიყენებული ვნების ასანაზღაურებლად მიმართულ გადახდევინების. სხვა შემთხვევაში შეიფარდება აღნიშნულ ნუსხის მე-2 მუხლი.

3. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოლექტიური მეურნეობებსა, კომპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ქონების გატაცებით, გაფლანგვით და მითვისებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მიმართული გადახდევინების დროს შეიფარდება ზემოაღნიშნული ნუსხის მე-2 მუხლის ერთგვი გმირსკლისი:

ა) „ა“ პუნქტის 1-ლი ქვეპუნქტის გამონაკლისად გადახდევინება მიქცევა მთლად სულიერ სასოფლო-სამურნეო ინვენტარზე, მარტო ერთი ცხენის თუ ერთი ჯორის, ან ერთ უღელა ხარის თუ კამჩის ან და სათანადო როდენობის სხვა სახის მუშა-საქონლის გამოკლებით მეურნეობაში;

ბ) „ბ“ პუნქტის გამონაკლისად გადახდევინების მიქცევისაგან განთავისუფლდება მხოლოდ ერთი საცხოვრებელი შენობა და შრომითი საგლეხო მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო შენობა: ერთი ბეღელი, ერთი სასიმინდე, ერთი მარანი, ერთი საბეღელი, ერთი გომური და სხვა მისთ.

4. ამა დადგვნოლების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდევინების მიქცევა შეიძლება ისეთ ქონებაზედაც, რასაც მსჯავრდადებული (მოპასუხე) პფლობს სხვა პირებთან ერთად, სხვათა შორის იმ საგლეხო კომლის საერთო ქონებაზე, რომელსაც მსჯავრდადებული (მოპასუხე) ეკუთშნის, აგრეთვე მეუღლეთა საერთო ქონებაზე, უკეთ სასამართლოში დამტკიცდება, რომ საერთო ქონებამ იმატა დანაშაულის ჩადენის გამო.

ამა მუხლის მოქმედება ერცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც გაფლანგვის, მითვისების ან გატაცების მომენტსა და სისხლის სამართლის წესით დევნის აღმერის მომენტს შორის განვლო არა უმეტეს ორი წლისა.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლი შეიცვლი.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს საქმეთა მმართველი ა. ქაგორაძე.

## 175. დადგენილება ც.ა.ქ. და ს.ქ.ხ.

ხისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლის შეცვლის შესახებ.

„სმხედრო დანაშაულთა დებულების 1-ლი მუხლისა, სამხედრო ტრიბუნალების და სამხედრო პროცესურის დებულების მე-8 მუხლისა და სახელმწიფოებრივ (კონტრრევოლუციონურ და მმართველობის წესის საწინააღმდეგო, სსრ კავშირისათვის განსაკუთრებით საშიშ) დანაშაულთა დებულების მე-17<sup>1</sup> და მე-19 მუხლების „შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბერვალის 27-ის დადგენილების მე-II კარის შესაბამისად (სსრკ. ი. კან. კრ. 1934 წ. მე 12 №-ი, მუხ. 78), სრულიად საქართველოს ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენენ:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 53) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„27. სამხედრო ტრიბუნალს ექვემდებარება საქმე:

ა. მუშათა და გლეხთა წითელი ორმის რიგებში მყოფი სამხედრო მსახურის და სამხედრო ვალდებულისა, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამუშაობრივ და სააღმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირისა, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამუშაობრივ და სააღმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირისა, შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და სააღმინისტრაციო-სამეურნეო შედგენილობის პირისა, წყალქვეშა სამუშაოების ექსპედიციის („ეპრონ“) მომუშავისა და აგრეთვე ზურგის ლაშქრის ნაწილებისა და რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლებულთაგან შედგენილი შრომითი ნაწილების თავმდგომთა და მერიგეთა შედგენილობის პირის მიერ ჩადენილი:

ა) სამხედრო დანაშაულთა შესახებ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის დანაშით);

ბ) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>2</sup>-58<sup>5</sup>, 58<sup>8</sup>-58<sup>10</sup>, 58<sup>14</sup>, 58<sup>17</sup>, 58<sup>19</sup>, 58<sup>21</sup>, 58<sup>24</sup> და 58<sup>25</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ და იმავე კოდექსის 58<sup>11</sup>, 58<sup>12</sup> და 58<sup>23</sup> მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ;

გ) „სახელმწიფო საწარმოთა, კოლექტიურ მეურნეობათა და კომპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საქუთრების განმტკიცების თაობაზე გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური ოღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. აგვისტოს 7-ის დადგენილებით (სსრკ. კან. კრ. 1932 წ. 62 №-ი, მუხ. 360) გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ;

დ) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 119, 121—<sup>125</sup> 177 მუხლის „ვ“ და „ზ“ პენქტებით გათვალისწინებულ თანამდებობრივ და ქ. ნცბრივ დანაშაულთა შესახებ;

გ. ამა მუხლის პ კარში არ აღნიშნულ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>o</sup> მუხლით—ისეთ შემთხვევაში, როდესაც ამ დანაშაულთა საგანს შეადგენს სამხედრო ხასიათის ცნობები;

გ. ვისაც უნდა ჩადინოს:

ა) საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58<sup>o</sup>-ი და 181<sup>o</sup> მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ და სასროლო იარაღის მოპარვის შესახებ, რაც გათვალისწინებულია იმავე კოდექსის 177 მუხლის „გ“ პენქტით;

ბ) სხვა დანაშაულთა შესახებ, რაც საფრთხეს წარმოადგენს მუშაობა და გლეხთა წითელი არმიის სიმაგრისა და ძოიერებისათვის და რომელთა განხილვაც დადგენილი წესისმგრ მიენცობა სამხედრო ტრიბუნალს;

გ) ისეთ ადგილის ჩადენილ დანაშაულთა შესახებ, სადაც განსაკუთრებულ გარემოებათა გამო საერთო სასამართლოები არა მოქმედობენ”.

სრ. საქ. ც. ა. კ ის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. მგალიბლიშვილი.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდავანი თ. შლევიტი.  
1934 წ. ივნისის 16.  
ტყილის.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საგაოცე და მკონი-  
მიური საბჭოს საქმეთა მიართველობა

## დაიბეჭდა

# საქორწინო, საოჯახო და საგარეო კანონის კოდექსი

ფალილებით 1934 წ. ივნისის 30-მდე

ფასი 1 გამ.

ფასი 40 გამ.

გამოცემის საქ. სსრ. ს.კ. ს-ის 1934 წ. № 37 3/მ რედაქტორი ვ. გაგამიშვილი  
საქმეთა მმართველობა

ქალადის ფორმატი 62X94 სანტ., 1½ ბეჭდო. ფურტ. 1 ბეჭდო. ფურტ. 48.500 სტანდ. ნიშანი  
გადაეცა სტამბას 9/VII; ხელმისაწერილია დასაბეჭდად 29/VII; ტირაჟი 1.036.

მთავლიტი ს.—№ 59 საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სტამბა. შეკვ. № 1136